



RESTRICTION OF THE FREEDOM OF WILL OF INDIVIDUALS BY MORAL NORMS

Giorgi Kveliashvili

*3rd Year Student of the Bachelor's Program in Law at the Faculty of Law of Ivane Javakhishvili
Tbilisi State University*

ARTICLE INFO

Article History:

Received 01.12.2022
Accepted 10.12.2022
Published 28.12.2022

Keywords:

Morality, Autonomy
of the will of persons,
Problems

ABSTRACT

moral norms date back centuries. In a specific time and space, morality took a higher place than codified legal norms. The development of law has led to the fact that today codified acts have a predominant place in legal proceedings, although due to the important place of moral rules in society, the legislator did not deny its importance in the Civil Code of Georgia.

On the one hand, taking into account the role of morality in society and reinforcing its importance with the Civil Code is a positive fact, however, on the other hand, it is important to assess how correct it is to reinforce it in its current form, as well as how much power it gives the court in order to limit the fate of transactions concluded within the autonomy of the will of individuals.

While the consideration of moral rules should respond to the demands of society, its abstract and unclear content creates the possibility of excessively restricting the freedom of individuals when concluding a contract with the norms of morality unknown to a person. By discussing the selected issue, it becomes possible to analyze and evaluate the challenges and problems in Georgian litigation. The question to be discussed is: is the strengthening of morality a positive factor, or it can negatively affect the fate of the deals made by the autonomy of the will of individuals and limit their freedom.

პირთა ნების თავისუფლების შეზღუდვა მორალური ნორმებით

გიორგი ყველიაშვილი

სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მე-3 კურსის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: მორალი, პირთა ნების ავტონომია, პრობლემები

შესავალი

სამართალწარმოების პროცესში შეიმჩნევა გარიგებები, რომელთა დადება დაუშვებელია, შესაბამისად, მათ „დაუშვებელი გარიგებების“ სახელწოდებით ვხვდებით. ასეთი გარიგებების ჩამონათვალში ფიქსირდება ზნეობის წინააღმდეგ დადებული – ამორალური გარიგებები. საინტერესოა, რა მნიშვნელობა გააჩნია თანამედროვე სამართალში ზნეობას? შესაძლოა თუ არა და რა როლი შეიძლება იქონიოს მან პირთა კერძო ავტონომიის შედეგად დადებულ გარიგებებზე? რა დამოკიდებულებებს ვხვდებით ამორალურ გარიგებებთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკაში და სხვა.

როდესაც ვსაუბრობთ ზნეობაზე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს მისი არაკონკრეტული მნიშვნელობა და ის, რომ ეს სიტყვა აბსტრაქტულ ცნებას წარმოადგენს. რადგან ზნეობის/მორალის ცნებას კონკრეტული მნიშვნელობა არ აქვს, იგი სამართალში განიმარტება, როგორც „საყოველთაოდ მიღებული ქცევის სტანდარტი“. აღსანიშნავია, რომ თავად ეს განმარტებაც ვერ იძლევა ერთგვაროვანი აღქმის საშუალებას, ამიტომ პრაქტიკოს იურისტებს ხშირად უწევთ სხვადასხვა ფაქტო-

რის გათვალისწინება, იმ თავისებურებებით ხელმძღვანელობა, რომლებითაც ხასიათდება ზნეობა, რათა მიღებული გადაწყვეტილება დავის დროს იყოს სამართლიანობის ექვივალენტი.

ზნეობა/მორალი წარმოადგენს ფენომენს, რომელიც ჯერ კიდევ პირველი პოზიტიური სამართლის შექმნამდე არსებობდა საზოგადოებაში. აქედან გამომდინარე, კანონმდებელმა ასწლულებს უკან მიაქცია მას ყურადღება, მიუჩინა ადგილი კერძო სამართლის სუბიექტა ურთიერთობებში.

ჯერ კიდევ რომის იმპერიაში ხელშეკრულების ნამდვილობის ერთ-ერთ კრიტერიუმს წარმოადგენდა ზნეობრივი ნორმები, შესაბამისად, ხელშეკრულება ზნეობის საწინააღმდეგო არ უნდა ყოფილიყო.¹ Pacta contra bonos mores – რომაელები ასე მოიხსენიებდნენ ზნეობის საწინააღმდეგოდ დადებულ გარიგებებს.² საყოველთაოდ ცნობილია, რომ თანამედროვე კოდიფიკაციებიდან ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებების ცნება პირველად საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმა განმტკიცდა. „კერ-

1 მეტრეველი ვ., (2009). რომის სამართალი (საფუძვლები), თბილისი, გვ. 72.

2 ჭანტურია ლ., (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გვ. 354.

ძოდ, მე-6 და 1133-ე მუხლებში მან ბონნეს მო-
ეურს (კეთილი ზნეობის) გვერდით განამტკიცა
საჯარო წესრიგი (ordre public).³

ეს არ ნიშნავს იმას, რომ იქამდე არ არსე-
ბობდა ნორმები, რომელიც ამ უზნეო საქცი-
ელს მიიჩნევდნენ კანონის და საზოგადოებაში
დამკვიდრებული შეხედულებების საწინააღ-
მდეგოდ. ამ მხრივ, საინტერესოა თუ რა განი-
ხილებოდა ქართული სამართლის ისტორიაში
ამორალურალურობის კრიტერიუმად? უნდა
აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ სამართალში,
ამორალურობის კუთხით, არ ფიქსირდება ისე-
თი აბსტრაქტული ნორმა, როგორც სსკ-ის 54
მუხლია. გვხვდება უფრო მეტად კაზუსტიკური
ხასიათის მუხლები სხვადასხვა სამართლის
ძეგლში, სადაც კონკრეტული მოქმედება,
მორალურ კანონებთან შეუსაბამობიდან გა-
მომდინარე, ამორალურად არის მიჩნეული.
მაგალითად, „ქართლისა და აფხაზეთის კათა-
ლიკოზთა და ღირსთა ეფისკოპოსთაგან გან-
წესებული სამართლის“ (კათალიკოზთა სამა-
რთალი) 1-ელი მუხლი სრულად ამორალურად,
რჯულის საწინააღმდეგოდ, დასაგმობ საქმედ
მიიჩნევს ტყვეთა გაყიდვას. ასევე, ვხვდებით
სესხზე ძალიან მაღალი პროცენტის დადგენის
ამკრძალავ ნორმებს, რადგან მიიჩნეოდა, რო-
გორც რჯულის საწინააღმდეგოდ – „ბექა-აღბუ-
ლას სამართლის“ 92-ე, 93-ე და 94-ე მუხლები,
„ვახტანგის სამართლის წიგნის“ 116-ე, 117-ე,
118-ე და 119-ე მუხლები და სხვა. აქედან გა-
მომდინარე, ნათელია, რომ ძველ ქართულ
სამართალში მორალისა და სამართლის
„თანამშრომლობა“ გაანალიზებული იყო კა-
ნონმდებლების მიერ და იგი თანამედროვე
ქართულ კერძო სამართალში მხოლოდ ევრო-
პული სამართლის რეცეფციის მონაპოვარს არ
წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, სსკ-ის 54-ე მუხლში
ზნეობის განმტკიცება საბჭოთა კავშირიდან
საქართველოს გამოყოფის შემდეგ მოხდა.
აღსანიშნავია, რომ საქართველოს სსრ სამო-
ქალაქო სამართლის კოდექსი არ განამტკი-
ცებდა ზნეობას იმ აბსტრაქტული ხასიათით,
როგორც მას აქვს დღევანდელ კოდექსში.
საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის
კოდექსის 48-ე მუხლი მხოლოდ კანონთან
ზოგადად შეუსაბამო გარიგებების ბათილო-
ბაზე იუწყებოდა და არა საზოგადოებრივ წეს-

რიგსა, თუ მორალის ნორმებზე. შესაბამისად,
ზნეობის ნორმებთან შეუსაბამო გარიგების
გაბათილება ჯერ კიდევ ახალ მონაპოვარს წა-
რმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კო-
დექსისთვის, ამიტომ, აუცილებელია, თითოე-
ული ფიზიკური თუ იურიდიული პირი გაგებით
მოეკიდოს იმ, თუნდაც უარყოფით შედეგებს,
რაც ამ ნორმას მოჰყვა.

ასე რომ, ნათელია, თუ რამხელა როლი აქვს
ზნეობრივ დანაწესებს სხვადასხვა დროსა და
სივრცეში. ისტორიიდან გამომდინარე, ამ კუ-
თხით ქართველი ხალხი „მონინავე ადგილს
იკავებს“.

ქართულ საზოგადოებაში ზნეობის განსა-
კუთრებული როლიდან გამომდინარე, საქა-
რთველოს სამოქალაქო კოდექსში მისი გა-
ნმტკიცების საჭიროება გაჩნდა, რაც სსკ-ის
54-ე მუხლით უზრუნველყო კანონმდებელმა.
ამ ქმედებამ თავისი დადებითი ცვლილებე-
ბი მოუტანა კერძო სამართლის სუბიექტებს,
რომლებსაც თავიდან ააცილა უზნეო ვალდე-
ბულების, უზნეო შინაარსის გარიგებიდან
წარმოშობილი მოთხოვნების შესრულება/
დაკმაყოფილება. თუმცა აუცილებელია გადა-
ფასებულ იქნეს ის თანმდევი პროცესები, რაც
ამ ქმედებას მოჰყვა, საჭიროა გაანალიზდეს
უარყოფითი შედეგებიც კარგთან ერთად და
მიღებულ იქნეს საბოლოო გადაწყვეტა, წა-
რმოადგენს თუ არა სსკ-ის 54-ე მუხლში ზნე-
ობის წესების აბსტრაქტული განმტკიცება
ქართული სამართალგანვითარების სიამაყეს,
თუ საჭიროა ამ ნორმის დახვეწა და მისი მე-
ტად მისადაგება იმ პრობლემების საპასუხოდ,
რომლებიც კერძო სამართლის სუბიექტებს
წარმოეშობათ სამართლებრივ ურთიერთო-
ბებში.

1. ზნეობისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი

იმისთვის, რომ მოსამართლემ საკითხი
სწორად გადაჭრას და რელევანტური გადა-
წყვეტილება მიიღოს იმის თაობაზე, გარი-
გება არის თუ არა ზნეობის საწინააღმდეგოდ,
აუცილებელია, რომ მან იცოდეს სხვადასხვა
მახასიათებელი/თავისებურება, რომელიც
ზნეობის თანმდევია. ზნეობის/მორალის ჩა-

3 იქვე, გვ. 354.

მოყალიბებაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი, როგორცაა ჩვეულება, ღირებულება და ტრადიცია. მართლაც, მორალი არ არის ერთჯერადად შექმნილი ფენომენი, რომელიც ჰეტერონომიულად და სამუდამოდ შეიქმნა. იგი დროთა განმავლობაში ყალიბდებოდა. მისი შეცვლა დამოკიდებულია დროზე, რომელთან ერთადაც იცვლება მორალური წარმოდგენებიც – ის რაც ადრე ამორალური იყო, დღეს სრულად არ შეიძლება ჩაითვალოს ასეთად. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ათწლეულების წინ აფროამერიკელს არ შეეძლო ესაუბმა და სხვა ყოველდღიური, ყოფითი საქმიანობა განეხორციელებინა თეთრკანიანთან ერთად, რადგან მისი ეს საქციელი უზნეობად აღიქმებოდა, თუმცა დღეს ასეთი წარმოდგენა აღარ არსებობს. მორალური წარმოდგენების შეცვლა ერთბაშად ვერ ხერხდება, ამიტომ შესაძლოა ითქვას, რომ ზნეობა/მორალი გარკვეულწილად სტატიკურია.⁴ მორალისთვის კიდევ ერთი მახასიათებელია ის, რომ ხშირად ამორალურ ქცევას (ზნეობის საწინააღმდეგო გარიგების შემთხვევის გამოკლებით) სანქცია საზოგადოებისგან და არა შესაბამისი სტრუქტურებისგან მოსდევს. ეს ყოველივე მნიშვნელოვან კავშირშია პრაქტიკოს იურისტთან, რომლის საქმე შესაძლოა ნებისმიერ დროს იქნას დაკავშირებული ზნეობასთან. კერძო სამართლის სფეროში გვხვდება უზნეო საფუძვლის მქონე გარიგებანი, რომელთა მსხვერპლიც ხშირად ხდება ფიზიკური პირი/კონტრაქტენტი, რომელმაც არ იცის, რომ ვალდებულება, რომელიც მას დაეკისრა, არის ამორალური და სამოქალაქო კოდექსი – სსკ-ის 54-ე მუხლით – ასეთი გარიგების გაბათილების საშუალებას იძლევა. ამრიგად, მნიშვნელოვანია მოსამართლეს ისეთ დონეზე ჰქონდეს შესწავლილი ზნეობის ცნება, რომ კონკრეტულ საქმეში გარიგების მხარე დაიხსნას ვალდებულებისგან, რომელიც გადაცილებულია ზნეობის ფარგლებს. მაგალითად, უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში ამორალურად/ზნეობის საწინააღმდეგოდ ჩათვალა ხელშეკრულების ერთ-ერთი დებულება, რომელიც ითვალისწინებდა ორსულობის აკრძალვას

შრომის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.⁵ გარდა ამისა, მოსამართლეს სხვადასხვა აქტები, მათ შორის, „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენციის 21-ე მუხლი, ავალდებულებს, რომ არამართო იცოდეს არსებული მორალური წესები, არამედ, თავადაც იყოს მაღალი ზნეობრივი თვისებების მატარებელი. შესაბამისად, ნათელია, რამდენად მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მორალს დღევანდელ სამართალწარმოებაში.

2. სამართალი და ზნეობა

სამართალი და ზნეობა ერთად თანაარსებობს. საზოგადოებაში არსებობს ურთიერთობები, რასაც სამართალი ვერ აწესრიგებს, თუმცა ეს ზნეობის წესებს შეუძლია. მაგალითად, შვილებსა და მშობლებს შორის ოჯახში მოქცევის წესებს ნორმატიული აქტები არ განამტკიცებს და ამას მორალური კანონები არეგულირებს (შვილებსა და მშობლებს შორის პატივისცემა და სხვა). სამართალსა და მორალს შორის არსებობს როგორც განსხვავებები, ისე მსგავსებები. „სამაჩთადის ნოჩმა აწესჩიგებს ადამიანთა გახეგან ქცევას, მოხადს უფხო მეგად აინგეჩესებს პიჩის სუბიექტუჩი ნება და მისი ქცევის მოგვი“.⁶ სამართლებრივე თიკურმა ღირებულებებმა ადგილი პოვა სამართლებრივ წესწყობილებაში, კონკრეტულად, კონსტიტუციის ღირებულებათა სისტემაში, მაგრამ კერძო სამართალში მან გამოხატულება პოვა იმ ნორმებში, რომლებიც აბათილებს ამორალურ/უზნეო გარიგებებს.⁷ ზნეობის განმტკიცება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მორალი და სამართალი ავსებს იმ სისუსტეებს, რომლებიც მათ გააჩნია. სამოქალაქო სამართლის სუბიექტები გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ, თუ მათ არ ექნებოდათ გზა უზნეო გარიგებებისგან თავის დასაღწევად. „კანონი ანაზღაუხებს მოხადის ფუნქციუჩი სისუსტეებს, ხომეღიც დამკვიჩვებდის თვადსაზჩი-

4 ხუბუა გ., (2015). სამართლის თეორია, თბილისი, გვ. 79.

5 ჭანტურია ლ., (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გვ. 356–357.

6 ხუბუა გ., (2015). სამართლის თეორია, თბილისი, გვ. 79.

7 კროპჰოლერი ი., (2014). გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, თბილისი, გვ. 63.

სით ხშირად აწვდის შემეცნებას განუსაზღვრედ და მოტივაციუხად ახასტაბიღუხ შედეგებს“.⁸ ამრიგად, ნათელია, რომ ზნეობასა და სამართალს შორის კავშირი მნიშვნელოვანია. ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ზნეობა საქართველოს, გერმანიის და სხვა ქვეყნების სამოქალაქო კოდექსში განმტკიცდა. იმ ნორმების გარეშე, რომლებიც იცავს ადამიანს კეთილ ზნე-ჩვეულებათა წინააღმდეგ დადებული გარიგებებისგან, სამოქალაქო კოდექსი სრულფასოვნებას, ადამიანურ ურთიერთობებს და თავად ადამიანს მეტად დაშორდებოდა, რადგან ვერ მოაგვარებდა იმ ნეგატიურ სიტუაციას, რომელშიც შესაძლოა აღმოჩნდეს სამოქალაქო სამართლის სუბიექტი, ზნეობის საწინააღმდეგო გარიგების დადების შემთხვევაში. მნიშვნელოვანია სამართალსა და ადამიანს შორის იყოს ძლიერი კავშირი, სამართალი ცდილობდეს თითოეული ყოფილი ურთიერთობის გაანალიზებას და რელევანტურ გადაწყვეტას (განსაკუთრებით კერძო სამართლის შემთხვევაში, რადგან სუბიექტებს გააჩნიათ კერძო ავტონომია, როგორც დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი). ზნეობის განმტკიცება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სწორედ იმის მანიშნებელია, რომ ქართული სამართალწარმოება, კერძო სამართალი, ორიენტირებულია ადამიანთან მეტი კავშირის მოძებნასა და დამყარებისკენ, მისთვის სამართლებრივი ურთიერთობების გაადვილებასა და მისი დაცვისკენ.

მორალისა და სამართლის ზოგადი კავშირი მეტად საინტერესო და სადავო საკითხია. ამასთან დაკავშირებით სამი ძირითადი მიდგომა არსებობს – **პირველი**, მორალი და სამართალი ერთ მთლიანობას აყალიბებს; **მეორე**, ისინი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან და **მესამე**, სამართალი და მორალი არ არის ერთიანი და არც გამიჯნულია ერთმანეთისგან.⁹ ყურადღებას იმსახურებს უკანასკნელი მოსაზრება, რომელიც ზუსტია, რადგან არსებობს ყოფილი ურთიერთობები, რომლებსაც სამართალი და მორალი განსხვავებულად აწესრიგებს, თუმცა საფრანგეთის და შემდგომ სხვა ქვეყნებში სამოქალაქო კოდექსში ზნეობის განმტკიცება მი-

უთითებს, რომ მორალი და სამართალი ერთმანეთისგან არ არის განცალკევებული, თუმცა არც ერთიანობას ქმნის. იურიდიულ მეცნიერებაში ხშირია აზრი მორალისა და სამართლის არსებითი განსხვავების შესახებ. მაგალითად, რობერტ პოლ ვოლფის აზრით, კანონი, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, მოითხოვს მორჩილებას განურჩევლად ვინმეს გადაწყვეტილებისა მორჩილებიდან გამომდინარე დამსახურების შესახებ, ეს კი არ შეესაბამება ხალხის ზნეობის ავტონომიას, რომელიც მათგან მოითხოვს, რომ მიიღონ პასუხისმგებლობა თავიანთ ქმედებებზე და იმოქმედონ მხოლოდ საკუთარი გადაწყვეტილებით, მათი მოქმედების დამსახურების შესაბამისად.¹⁰ მოსაზრება, რომ მორალი და სამართალი არსებითად განსხვავდება ერთმანეთისგან რაციონალური შემეცნების შედეგს არ წარმოადგენს, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 54-ე მუხლი სახელწოდებით: „მართლსაწინააღმდეგო და ამორალური გარიგებანი“ მეტყველებს, რომ კერძო სამართალი და ზნეობა ერთგვარად „თანამშრომლობენ“. ფილოსოფოსის და იურისტის რონალდ დვორკინის აზრით, მორალი სამართლებრივ აზროვნებაში არსებით როლს თამაშობს.¹¹ თუმცა არა მარტო მორალი თამაშობს არსებით როლს სამართლებრივ აზროვნებაში, არამედ თავად სამართალიც ერევა მორალურ კანონებში, რის ნათელ მაგალითსაც წარმოადგენს ის, რომ სამართალი გახდა უზნეო ურთიერთობების ზნეობრივად ტრანსფორმაციის საშუალება – ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ერთი სქესის პირთა შორის ქორწინება ნორმალურად მიიჩნია.¹²

საბოლოოდ, სწორია ითქვას, რომ „ზნეობა სამართალშია და სამართალი ზნეობაში“.¹³ მათ შორის მნიშვნელოვანი კავშირია და ერთმანეთის სისუსტეების აღმოფხვრა მათვე აქვთ დავალებული. ამ მხრივ, კერძო სამართალს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს მორალი/ზნეობა, რადგან სსკ-ის 54-ე მუხლის დახმარებით სამოქალაქო კოდექსი იმ ნეგატიური

8 Moka-Mubelo W., (2015). Reconciling Law and Morality in human Rights Discourse: Beyond the Habermasian Account of Human Rights, a dissertation, Boston College, pg.130.
9 ხუბუა გ., (2015). სამართლის თეორია, თბილისი, გვ. 78.

10 Raz J., (2003). About Morality and the Nature of Law, The American Journal of Jurisprudence, I, pg. 1.
11 გოგელია გ., (2005). სამართალი, ავტორიტეტი და მორალი თანამედროვე სამართლებრივ პოზიტივიზმში, ადამიანი და კონსტიტუცია, IV, გვ. 89.
12 ზოიძე ბ., (2005). ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბილისი, გვ. 214.
13 იქვე, 215.

(ამორალური) გარიგებების ბათილობის საშუალებას იძლევა, რომელთა თითოეული სახე შეუძლებელია, კანონმდებელმა წინასწარ გაითვალისწინოს.

3. ზნეობა/მორალი – შინაგანი თუ გარეგანი ვალდებულება?

მნიშვნელოვანია, გაირკვეს მორალის ვალდებულებითი ხასიათი, ის, თუ ვალდებულება, რომელსაც მორალი/ზნეობა გვაკისრებს და, ზოგ შემთხვევაში, გავლენას ახდენს კერძო ურთიერთობებზე, საიდან მომდინარეობს? ზნეობის საწინააღმდეგოდ გარიგების მიჩნევა საკმაოდ კომპლექსური საკითხია, რადგან, კანონისგან განსხვავებით, მისი მნიშვნელობა არ გვხვდება ცალსახად და იმ საზომის დადგენა, რითაც კონკრეტულ საქმეში მოსამართლემ უნდა იხელმძღვანელოს, რთულია. ვალდებულება, რომელიც თან ახლავს მორალს განიხილება, როგორც „შინაგანი ვალდებულება“, რომლის განმსაზღვრელადაც სინდისი წარმოჩნდება.¹⁴ ამ საკითხზე კანტის მოსაზრების თანახმად, სამართლებრივი ვალდებულება გარეგანია, ხოლო ეთიკური შინაგანი, რაც იმას გულისხმობს, რომ ეთიკა მისი შინაგანი ხმაა.¹⁵ ზნეობის/მორალის გაანალიზების შემდეგ, არსებითია ერთგვაროვანი დასკვნის ჩამოყალიბება მორალურ კანონებზე, როგორც შინაგანზე. „*ხოგოჩც ჩანს, ეს კანონი ჩვენი სულის თვისებაა და მახიტაც ამიგომ აჩის ის შინაგანი*“.¹⁶ გამოდის, რომ ამორალურობა, რომელიც შეიძლება გახდეს გარიგების ბათილობის საფუძველი, ინდივიდუალური შეცნობის შედეგად ჩამოყალიბებული მორალური/ზნეობრივი წარმოდგენებით ხელმძღვანელობის შედეგია.

ვალდებულებათა უმეტესი ნაწილი მომდინარეობს გარედან (ნორმატიული აქტებისგან, რომლების ქცევის შესასრულებლად სავალდებულო წესებს ადგენენ) მაგრამ შესაძლოა არ

არსებობდეს სამართლებრივი ვალდებულება, თუმცა გარკვეული ქცევისკენ სხვა რამ გიბიძგოს. თუ არ არსებობს სამართლებრივი ვალდებულება, რომელიც უკრძალავს სუბიექტს გარკვეულ მოქმედებას, მაშინ რამ შეიძლება მიუთითოს ვალდებულების შესრულებისკენ? ამის პასუხი მორალში/ზნეობაში უნდა იქნეს მოძიებული, რომელიც შიგნიდან და არა გარედან კონტროლს უწევს, ავალდებულებს პირს ქცევის განხორციელების მომენტში. აღსანიშნავია, რომ ზნეობრივ ვალდებულებას ყოველთვის არ შეიძლება მოჰყვეს სანქცია. მაგალითად, თუ ვინმე ხედავს ადამიანი როგორ იხრჩობა ზღვაში და მორალი ავალდებულებს, რომ დაეხმარო ამ ადამიანს, მაგრამ ვერ ეხმარება, მას პასუხს არავინ მოსთხოვს, თუკი იტყვის, რომ ცურვა არ იცის და შიშის გამო ვერ დაეხმარა სხვას. მნიშვნელოვანია, რომ მორალური ვალდებულების შეუსრულებლობა (განსხვავებით სამართლებრივისგან) ადამიანს უკმაყოფილების, არასრულფასოვნების გრძნობას უტოვებს, რაც მეტყველებს ზნეობის, როგორც შინაგანი ფენომენის სასარგებლოდ.

4. სსკ-ის 54-ე მუხლის განხილვა ზნეობის/მორალის ჟრილში

სსკ-ის 54-ე მუხლის მიხედვით, მესამე ფასეულობას, რომელიც გარიგების ბათილობას იწვევს, წარმოადგენს ზნეობრივი ნორმები – „*ბათილია გაჩივება, რომელიც ახლევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს*“. ხშირად, სირთულეს წარმოადგენს კანონში ხსენებული სამი ფასეულობის – კანონით დადგენილი წესებისა და აკრძალვების, საჯარო წესრიგისა და ზნეობრივი ნორმების ერთმანეთისგან გამიჯვნა, „*კანონის დახლევვა, ხშირად, ზნეობის საწინააღმდეგო ნების გამოვლენად აღიქმება ხორბე*“.¹⁷ უზნეობის საფუძველით გარიგების გასაბათილებლად მნიშვნელოვანია, რომ თავად ამ გარიგების დადების ფაქტით ან შინაარსით ხდებოდეს ზნეობის ნორმების

14 ღვინაშვილი გ., (2019). იძულებით დადებული გარიგება სასამართლო პრაქტიკაში და მისი გამიჯვნა ამორალური გარიგებებისგან, თბილისი, გვ. 56. სამაგისტრო ნაშრომი, ხელმისაწვდომია <<https://openscience.ge/bitstream/1/1028/1/samagistro%20gviniashvili.pdf>>

15 ზოიძე ბ., (2013). სამართლის პრაქტიკული ყოფიერების შემეცნების ცდა უპირატესად ადამიანის უფლებათა ჟრილში, ესსეები, თბილისი, გვ. 23.

16 იქვე, გვ. 204.

17 ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., (2002). საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, თბილისი, გვ. 177.

დარღვევა,¹⁸ რადგან ხშირია, როცა გარიგება, საჯარო წესრიგთან ერთად, არღვევს ზნეობის ნორმებსაც და გარიგების გასაბათილებლად მათ შორის უპირატესობას საჯარო წესრიგს ანიჭებენ, რადგან ზნეობა მეტად შეფასებითი ცნებაა, განსხვავებით საჯარო წესრიგისაგან.

სსკ-ის 54-ე მუხლის ზოგადი ხასიათიდან გამომდინარე, მთავარ ამოცანას წარმოადგენს იმის დადგენა, თუ რა არის მორალური და რა იგულისხმება ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებაში, ეს კი მოსამართლის პრეროგატივაა და ვინაიდან თითოეული ადამიანის მეტყველება, ცოდნა განსხვავებულია, განმარტებაც სხვადასხვა სახით არის ჩამოყალიბებული სხვადასხვა მოსამართლის მიერ ქართულ კერძო სამართალში.

გარიგების ბათილობა არ არის დამოკიდებული, კონტრაქტების მხრიდან იყო თუ არა შეცნობილი ის, რომ ზნეობის საწინააღმდეგოდ მოქმედებდნენ.¹⁹ ამ ასპექტს სწორად არ აქვს მნიშვნელობა, რადგან როგორც გარიგების მხარეების მიერ გაანალიზებულად ამორალური საფუძვლით გარიგების დადებისას, ისე გაუნალიზებლად, გარიგების შედეგები ერთია და სამართლებრივი ინტერესების დარღვევა ორივე შემთხვევაშია შესაძლებელი. ამასთან, სამოქალაქო სამართლის სუბიექტი წინასწარ ვერ გაითვალისწინებს ყველა იმ მორალურ წესს, რომელსაც მისი სამართლებრივი ურთიერთობის ბედის გადაწყვეტა შეუძლია.

სსკ-ის 54-ე მუხლით მორალის განმტკიცება მისასაღმებელი ფაქტია. მისი არარსებობის შემთხვევაში, კერძო სამართალი ვერ გადაჭრიდა ისეთ პრობლემებს, რომლებიც სამართლის სუბიექტთა ყოველდღიურ ყოფაში შეიძლება წარმოიშვას. ზნეობის სამოქალაქო კოდექსში განმტკიცებით კერძო სამართალი ადამიანთან მეტ კავშირს ამყარებს, ითვალისწინებს იმ წესებს, რომლებიც საზოგადოებაშია დამკვიდრებული და ამით ანგარიშს უწევს ადამიანს, როგორც უმთავრეს ფასეულობას. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კერძო სამართლის სუბიექტს 54-ე მუხლმა (ზნეობის ჭრილში) ბევრი სიკეთე მოუტანა, თუმცა მიუხედავად ამისა, მან სანაცვლოდ გარკვეულ ნეგატიურ დათმობებზე წასვლა მოითხოვა ფიზიკური/იურიდიული პირისგან, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ

მოხდებოდა ნორმის რეალიზება სამართალწარმოებაში და მისით დადებითი შედეგების მოტანა. მნიშვნელოვანია, გადაფასებულ იქნას ის უარყოფითი ფაქტორები, რაც სსკ-ის 54-ე მუხლში ზნეობის განმტკიცებამ განაპირობა.

5. სსკ-ში ზნეობის წესების განმტკიცებით გამოწვეული ნეგატიური შედეგები

6.1. მორალსა და პირთა კერძო ავტონომიას შორის წარმოშობილი კოლიზია

სამოქალაქო სამართლის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს კერძო ავტონომია, რომელიც, გარიგების დადებისას, მხარეებს ანიჭებს თავისუფლებას როგორც გარიგების ფორმაში (თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი), ისე მის შინაარსში. იგი აქტიურ ასპექტს წარმოადგენს სამართლის სუბიექტებისთვის, რადგან ისეთი ინსტიტუტის გამოყენების გაადვილებას ემსახურება, როგორცაა გარიგება. მიუხედავად ამისა, სსკ-ის 54-ე მუხლი ემსახურება კერძო ავტონომიის შეზღუდვას,²⁰ რადგან იგი ერთგვარად ეჭვქვეშ აყენებს გარიგების ნამდვილობას და შესაბამისი (მათ შორის, ზნეობის საწინააღმდეგო) საფუძვლების არსებობის შემთხვევაში, იწვევს თავისუფალი ნებით დადებული გარიგების გაბათილებას.

როგორც უკვე აღინიშნა, სინდისი მორალური ვალდებულების განმსაზღვრელია. ხოლო თუ ზნეობრივ ნორმებს ინდივიდი იყალიბებს ინდივიდუალურად (თუმცა გარეშე ფაქტორების გავლენით) საინტერესო ხდება ის, თუ ორ მხარეს შორის, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეთ ინდივიდუალური მორალური ვალდებულებები, საქმის გადაწყვეტის დროს მოსამართლემ, რომელსაც ასევე ჩამოუყალიბდა შინაგანი, ინდივიდუალური ზნეობრივი წესები, ზნეობის/მორალის ცნების რომელი აღქმით უნდა იხელმძღვანელოს? რომელიმე მხარის თუ თავისი? რათა მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება იყოს სამართლიანი და არა მიკერძოებული. თითქოს, გამოუვალა მდგომარეობა.

18 იქვე, გვ. 181.

19 იქვე, გვ. 322.

20 ჭანტურია ლ., (2017). სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები, თბილისი, გვ. 312.

რეობა იქმნება, თუმცა შემდეგი მიზეზის გამო ადვილია გამოსავლის მოძებნა – „ადამიანური ეთიკა ყალიბდება ისევ ადამიანთა თანაცხოვრებაში“²¹ და რადგან ჩვენ ეთიკური (ზნეობრივი/მორალური) ნორმები გვითმობა თანაცხოვრებაში სხვა ადამიანებთან, ე.ი. ამ თანაცხოვრებას გავლენა აქვს თითოეული ინდივიდის მორალური კანონების ჩამოყალიბებაზე, შედეგად კი იქმნება ერთი საერთო საზოგადოებრივი, დროით და სივრცით შემოსაზღვრული/ზღვარდადებული ეთიკა, რომლითაც ხელმძღვანელობს/უნდა იხელმძღვანელოს მოსამართლემ სამართალწარმოებისას. „ალიაჩებუდ იქნა ახა ზოგადი და აბსტრაქტული მოხადი, ახამედ კონკრეტულ საზოგადოებაში „გაბატონებული მოხადი““²² თუმცა ამ მიდგომიდანაც უნდა იარსებოს გამონაკლისმა და შეჭერებულ უნდა იქნეს შუალედი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში სამართალი უსამართლობის დამაკანონებლად წარმოგვიდგება.

ეს შუალედი შემდეგი სახის უნდა იყოს, რადგან სინდისი ინდივიდუალურია თითოეული ადამიანისთვის, კერძო სამართლის სფეროში, მაშინ როცა პირებს ენიჭებათ კერძო ავტონომია, ხშირად გარიგების ორივე მხარისთვის ის, რაც ამორალური სრულად არაა, შეიძლება, ზოგადად, იმ საზოგადოებისთვის იყოს ამორალური, რომელშიც ეს სუბიექტები არსებობენ, ამიტომ გარიგება უზნეობის მიზეზით შეიძლება გაბათილდეს ორივე კონტრაქტის შეხედულების, შეცნობის, ნების თანხვედრის მიუხედავად. კამათს არ უნდა იწვევდეს, რომ კონტრაქტთა ასეთ ვითარებაში ჩაყენება მათი უფლების, კერძოდ, გარიგების შინაარსის, ფორმის თავისუფალი განსაზღვრის, უხეში დარღვევაა. სწორედ ეს წარმოადგენს ერთ-ერთ უარყოფით ეფექტს ზნეობის წესების გამტკიცებისას სსკ-ის 54-ე მუხლში და სწორედ ამ მიმართულებით უნდა გამახვილდეს ყურადღება, შესაბამისად, დაისვას კითხვა – ღირს თუ არა, საზოგადოებაში დამკვიდრებულმა ქცევის ზოგადმა წესმა (ზნეობა) ნეგატიური გავლენა იქონიოს პირთა კერძო ავტონომიაზე დამყარებული გარიგების ბედზე? სამართალწარმოება იმ მიმართულებით უნდა განვითარდეს, რომ თუ გარიგების მხა-

რეებს არ აქვთ პრობლემა მორალური წესების საწინააღმდეგოდ დადებული გარიგების შედეგებთან დაკავშირებით და ეს შეთანხმება ზიანს არ აყენებს სხვა მესამე პირებს, საზოგადოებაში დამკვიდრებულმა შეხედულებამ, რომ ეს ასეა და ისე არა, გავლენა არ იქონიოს კონტრაქტთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაზე. „გაჩივების მოტივის ამოხადულობა შეიძლება გახდეს მთლიანად გაჩივების ამოხადულობა მიჩნევის საფუძველი, მაგალითად, საყვარელისთვის ანდერძით ქონების დატოვება იმ პირობით, რომ ის მოანდერძეს სიცოცხლის განმავლობაში მათგან ახ დატოვებს“²³ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რატომ უნდა ერეოდეს სამართალი პირის უფლებაში – თავისუფლად განკარგოს თავისი ქონება? თუ ორივე მხარეს მოანდერძესაც და საყვარელსაც სურთ/ანყოფთ იმ უპირატესობების სანაცვლოდ, რომლებიც გარიგებას მოაქვს, დადონ ასეთი შინაარსის შეთანხმება, რომელიც არ აყენებს მესამე პირს ზიანს. ამგვარად, სასამართლო პრაქტიკა ამ კუთხით არ უნდა იქნეს გაზიარებული. ზნეობრივ წესებსა და კერძო ავტონომიას შორის არსებული კოლიზიისას ამ უკანასკნელის ბოლომდე უგულებელყოფა რაციონალური შეცნობის შედეგს არ წარმოადგენს და, უბრალოდ, სხვის უფლებებში ბოროტ ჩარევად უნდა იქნეს მიჩნეული.

5.2. სსკ-ის 54-ე მუხლში არსებული ზნეობის განმარტებით გამოწვეული პრობლემები

გარკვეული პრობლემების გამომწვევია ის, რომ სიტყვებს – უზნეობა, ამორალურობა – არ გააჩნიათ ერთგვაროვანი მნიშვნელობა, ამიტომ კერძო სამართალში დიდი როლი ენიჭება მოსამართლის მხრიდან ამ ცნებების დეფინიცირებას, რადგან მან შესაძლოა გავლენა იქონიოს სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტთა სამართლებრივ ურთიერთობაზე. მოსამართლის მხრიდან ზნეობის განმარტება მეტად საპასუხისმგებლო და პრობლემური საქმეა, „ზნეობის საწინააღმდეგოდ დათქმის მქონე ხედვეკულების შესახებ პოზიციის დაფიქსილება ყველაზე ხთუღია“²⁴ მნიშვნელოვანია, რომ განმარტება

21 იქვე, გვ. 66.

22 ჭანტურია ლ., (2011). სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, გვ. 354.

23 იქვე, გვ. 321.

24 ჯორბენაძე ს., (2016). ხელშეკრულების თავისუფლე-

ისე მოხდეს და შესაბამისად გადაწყვეტილება იხდეს ისეთი იქნეს მიღებული, რომელიც კერძო სამართლის სუბიექტს, ამ შემთხვევაში გარიგების კონტრაქტს, ობიექტური უსამართლობის შეგრძნების ამარა არ დატოვებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, კანონთან ერთად სამართლებრივ სახელმწიფოში მართლწესრიგის არსებობას განაპირობებს მორალური ქცევის სტანდარტიც. შესაბამისად, მიუხედავად კერძო ავტონომიის და თავისუფალი კონტრაქტირების პრინციპის არსებობისა კერძო სამართალში, გარიგება, რომელიც ეწინააღმდეგება „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტს“, ამორალურ გარიგებად მიიჩნევა და ბათილობის სამართლებრივ შედეგებს უკავშირდება.²⁵ ამრიგად, მნიშვნელოვანია, სამართლებრივ ურთიერთობებში, კერძო სამართლის სუბიექტებმა გაითვალისწინონ მორალური/ზნეობრივი ღირებულებები, რათა მათ მიერ დადებული ხელშეკრულება არ გაბათილდეს, თუმცა რამდენად ლოგიკურია ისეთი აბსტრაქტული ნორმის განმტკიცება სსკ-ში, როგორცაა 54-ე მუხლი, რომლიდან გამომდინარეც, კონკრეტული აზრის გამოტანა თავად იურისტსაც არ შეუძლია (სხვა პროფესიის პირზე რომ არაფერი ითქვას). ეს განპირობებულია ნორმის განმარტების საჭიროებით და იმით, რომ ამ საკითხში მოსამართლეთა როლი მეტად არსებითია. თავად მოსამართლე კი მრავალია, ამიტომ რთულია განისაზღვროს – რომელი მათგანის ინტერპრეტაციაა გასათვალისწინებელი, მაშინ, როცა ხშირია სხვადასხვა ინსტანციის მოსამართლეთა განსხვავებული განმარტებები.

გერმანული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გარიგება ზნეობრივ ნორმებს მაშინ არღვევს, როცა იგი „ზოგადი სამართლიანი და მართებული წარმოდგენების სტანდარტს“ უგულებელყოფს.²⁶ მოცემულ განმარტებაში

მნიშვნელოვან დატვირთვას ასრულებს სიტყვა სამართლიანი. აღსანიშნავია, რომ როდესაც საუბარია „საყოველთაოდ მიღებულ ქცევის სტანდარტზე“, მოცემული დეფინიცია საშუალებას იძლევა მოაზრებულ იქნეს ისეთი რამ, რაც არის საყოველთაოდ აღიარებული, როგორც ქცევის სტანდარტი, თუმცა არ არის სამართლიანი. ეს განმარტებები კერძო სამართლის სუბიექტებს ერთგვარ დაუცველ და გაურკვეველ მდგომარეობაშიც აყენებს, რადგან, პირველ რიგში, გერმანულ სასამართლო პრაქტიკაში არსებული განმარტება მოიაზრებს ზოგად სამართლიანობას, რაც, ასევე, არ წარმოადგენს კონკრეტული მნიშვნელობის მქონე ცნებას, ამიტომ მოსამართლეს, საქმის გადაწყვეტისას, ეს „ზოგადი სამართლიანობა“ აძლევს მეტ თავისუფლებასა და სამართლიანობის მისეული აღქმის გამოყენების საშუალებას (მით უმეტეს, რომ სამართლიანობის დამცველებად გვევლინებიან მოსამართლეები). შედეგად, შესაძლებელია, რომ კერძო სამართლის ფარგლებში არსებული ურთიერთობათა სუბიექტი გახდეს მოსამართლის სუბიექტური განმარტების მსხვერპლი. ამ ნეგატიური სიტუაციიდან დაცვის გარანტია არ არსებობს. ასევე, ამგვარ შედეგებს მოიაზრებს განმარტება – „საყოველთაოდ მიღებული ქცევის სტანდარტი“, რომელიც მოსამართლეს აძლევს საშუალებას, მიიღოს თვითნებური გადაწყვეტილება, რადგან მოცემული განმარტება თავად განმარტებას საჭიროებს. ეს ყოველივე მით უმეტეს სიმწვავეს იძენს მაშინ, როცა მოსამართლე, რომელიც წყვეტს სამოქალაქო ბრუნვის სუბიექტების მიერ დადებული გარიგების ბედს (ამორალურობის კრიტერიუმით) შესაძლოა მოექცეს სხვადასხვა პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ, რასაც შეუძლია კონკრეტული პიროვნების სამართლებრივი ურთიერთობის (გარიგების) ბედი არასამართლიანად გადაწყვიტოს. გარიგების ბედი რომ მართლაც მოსამართლეზეა დამოკიდებული, ამაზე სასამართლოთა განსხვავებული განმარტებებიც მიუთითებს. თბილისის საქალაქო სასამართლოთა განმარტებით, „გაჩივება ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს, ხოდესაც იგი ახსებითად ახლვევს ეხთ-ეხთი მხახის ინგეხე-

ბის ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, გვ. 96. სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელმისაწვდომია <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf>

25 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 მარტის № ას-15-15-2016 განჩინება.

26 კროპკოლერი ი., (2014). გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ. (მთარგმ.), ჩაჩანიძე ე., თოთლაძე ლ. (რედ.), მე-13 გამოცემა, თბილისი, გვ. 63.

სებს და ახათანაბაჰ პირობებში აყენებს მას... ეხთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს სახგებდის ამოხადუხი ხასიათი და კხედიგოხის სუხვი-დი მიიღოს მაქსიმადუხი სახგებედი დადებუდი ხედშეკუდებედიან“;²⁷ ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, ამორალური გარიგება „ეწინააღმდეგება სოციალუხი სამაჰთდიანობის პიხინციპს, ხედშეკუდების მხაჰეს აყენებს შეუსაბამოდ ხოდ მდგომაჰეობაში“.²⁸ ზემოთ ჩამოყალიბებული მსჯელობა კიდევ ერთი დასტურია იმისა, თუ რა პრობლემების მატარებელია ზნეობის არაკონკრეტიზებული ხასიათი სსკ-ის 54-ე მუხლში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განმარტების საჭიროების მქონე ნორმის განმტკიცება, 54-ე მუხლის სახით, არღვევს „სამართლებრივი უსაფრთხოების“ პრინციპს, რომელიც გულისხმობს შემდეგს: ინდივიდმა წინასწარ უნდა იცოდეს, თუ რას მოითხოვს მისგან სამართალი. როგორ უნდა მოიქცეს იმისათვის, რომ შეასრულოს სამართლის დანაწესი. ლოგიკურია ადამიანმა არ იცოდეს ის, თუ როგორ განიმარტება მოსამართლის მხრიდან სიტყვა ზნეობა და, შესაბამისად, რა იქნება მიჩნეული უზნეობად. ამავდროულად, თითოეულ ადამიანს აქვს ინდივიდუალური მეტყველება, შესაბამისად, მოსამართლეთა განმარტებას ექნება ინდივიდუალური/განსხვავებული სახე, რაც ასევე ხელის შემშლელ ფაქტორს წარმოადგენს ნორმის შინაარსის შეცნობის კუთხით.

შესაბამისად, სამართლიანობის ფარგლებს გადაცილებულად უნდა ჩაითვალოს კერძო სამართლის სუბიექტებისთვის ისეთი ნორმის დადგენა, რომლის ნორმატიული ხასიათის გაგება ზუსტთან მიახლოვებულადაც შეუძლებელია. სამოქალაქო კოდექსის და, აქედან გამომდინარე, 54-ე მუხლის საჯაროობის მიზანი პრევენციაა იმ შედეგებისა, რაც ზნეობის წინააღმდეგ დადებულ გარიგებას მოჰყვება, თუმცა ამ ფუნქციას წარმატებულად ვერ შეასრულებს ნორმა, რომლის შინაარსიც ბუნდოვანია არა მხოლოდ კონტრაქტებისთვის, არამედ მოსამართლეებისთვისაც კი.

5.3. განმარტება, როგორც არჩევანი სამართლებრივ ფასეულობებს შორის

იურიდიულ ლიტერატურაში, ამორალურობის საზომი შესაძლოა სხვადასხვა რამ იყოს. მაგალითად, ბუნებითი სამართლის წარმომადგენლებისთვის შესრულებისა და საპასუხო შესრულების არაეკვივალენტურობაა ამორალურობის კრიტერიუმად მიჩნეული.²⁹ მხარეთა ვალდებულებების დისპროპორციულობა მრავალ ქვეყანაში ამორალურობის გამო გარიგების ბათილობის საფუძველია, რადგან ისინი, უმეტეს შემთხვევაში, დადებულია ერთ-ერთი მხარის გონივრული განსჯის უუნარობით, მძიმე მდგომარეობით, ნების მნიშვნელოვანი სისუსტით და სხვა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამ საკითხთან დაკავშირებით არ გაითვალისწინა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა, რომ „საკმახისია, ახსებობდეს დისპროპორციული ხედშეკუდების მხაჰეების მიეხნაკისხ ვადებუდებათა შოხის“, რათა გარიგება ჩაითვალოს ამორალურად, რადგან უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ეს ხელს შეუშლიდა სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და ნორმალურ განვითარებას.³⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ამ განმარტებით მართლმსაჯულება არათუ უახლოვდება და ემსახურება, არამედ სცილდება ადამიანს, საზოგადოებაში არსებულ რეალობას, რადგან რა უნდა იყოს იმაზე მეტი უზნეობა, თუ არა ვინმეს გონივრული განსჯის უუნარობით, მძიმე მდგომარეობით სარგებლობა (რადგანაც მხოლოდ ასეთ მდგომარეობაში მყოფ ადამიანთან შეიძლება დადო ისეთი გარიგება, რომლითაც მას ობიექტურად დისპროპორციულ ვალდებულებას დააკისრებს, მისი ნები სისუსტის მიუხედავად) და სასურველი შედეგების მომტანი გარიგების დადება? გერმანული სამოქალაქო კოდექსის 138-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ მიუთითებს: „კეჰოდ, ბათილია გაჰიგება, ჰომღითაც პიხი სხვა პიხის მძიმე მდგომაჰეობით, გამოუცდებობით, გონივრული განსჯის

27 თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის № 2/13966–12 გადაწყვეტილება.

28 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის № 2ბ/4123–12 გადაწყვეტილება.

29 დვინაშვილი გ., იძულებით დადებული გარიგება სასამართლო პრაქტიკაში და მისი გამიჯვნა ამორალური გარიგებისგან, თბილისი, 2019, გვ. 59. სამაგისტრო ნაშრომი, ხელმისაწვდომია <<https://openscience.ge/bitstream/1/1028/1/samagistro%20gviniashvili.pdf>>

30 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის № ას–664–635–2016 გადაწყვეტილება.

უუნახობით ან ნების მნიშვნელოვანი სისუსტით აიძულებს ამ უკანასკნელს ვადებულების შესრულების მოქმედების სანაცვლოდ მისადმი ან მესამე პიხისადმი ქონებრივი სახეების შეპიხებას ან შესრულებას, ხომელიც აშკაად აჩაპხოპო-ხციურია ვადებულების შესრულებისა“. გამოდის, რომ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ არ გაითვალისწინა გერმანული კერძო სამართლის გამოცდილება მოცემულ საკითხში. უარყოფით ფაქტს არ წარმოადგენს ის, რომ გერმანული სამოქალაქო კოდექსის რომელიმე ნორმის შინაარსი არ იქნას გაზიარებული ქართული სამართალწარმოების პროცესში, თუმცა ნეგატიურია ის, რომ სასამართლომ ლეგიტიმურად მიიჩნია სხვისი სისუსტით სარგებლის მოტანა გარიგების საშუალებით. და რა ვალდებულება აქვს სასამართლოს, გარდა იმისა, რომ თითოეული მოქალაქე დაიცვას ნეგატიური სამართლებრივი შედეგებისგან, მით უმეტეს, რომ ეს სუსტი მხარის შეუცნობლად (უუნარობის გამო) მოხდა? ამ შემთხვევაში, სასამართლო უნდა ითვალისწინებდეს – გარიგება „სუსტი მხარის“ ნების მნიშვნელოვანი სისუსტით დაიდო თუ არა. თუ კონტრაქტმა ნათლად გამოხატა ნება, რომელსაც არანაირი სისუსტე არ გააჩნდა და თან არ იკვეთება სხვა მიზეზები, რომლებიც ერთ-ერთი მხარის მხრიდან მეორე მხარის სისუსტით ბოროტად სარგებლობაზე მიუთითებს, რაც ნამდვილად საზოგადოდ ამორალურია, დისპროპორციულობა მართლაც არ უნდა გახდეს უზნეობის კრიტერიუმი და შესაბამისად, გარიგების ბათილობის საფუძველი. სხვა შემთხვევებში, მოსამართლე ერთგვარად განწირულ მდგომარეობაში ტოვებს კერძო სამართლის სუბიექტს. სასამართლო პრაქტიკა იმ მიმართულებით უნდა წარიმართოს, რომ ადამიანი, როგორც სამართალშემოქმედების მიზანი, იყოს უპირატესი ყველა სხვა ფასეულობის მიმართ. განმარტება, რომ ხელშეკრულების მხარეებს შორის ვალდებულებათა აშკარა დისპროპორციისას გარიგების გაბათილება ხელს შეუშლის სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას, იმაზე მეტყველებს, რომ ფასეულობას, როგორც სამოქალაქო ბრუნვას, კერძო სამართლის სუბიექტზე მეტი მნიშვნელობა აქვს. ასეთი პრეცედენტის დამკვიდრება ქართულ სამართალში, მით უმეტეს, უზენაესი სასამართლოს მიერ, უარყოფითად უნდა ჩა-

ითვალოს, რადგან კონტრაქტის (რომლის კეთილდღეობის მიზნითაც განმტკიცდა სსკ-ის 54-ე მუხლში ზნეობა) გამოყვანა მისი გონივრული განსჯის უუნარობის სარგებლობით დამდგარი მძიმე მდგომარეობიდან მეტად სამართლიანი საქციელია, ვიდრე სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მისი განწირვა, მძიმე მდგომარეობაში დატოვება, რაც მეორე მხარის დასაძრახი საქციელით არის გამოწვეული. ზნეობის ნორმის გამოყენებით გარიგების ბათილობა უნდა მოხდეს მაშინ, როცა ეს სამოქალაქო სამართლის სუბიექტს სჭირდება და არა მაშინ, როცა სამართალწარმოებას აწყობს ასე.

6. გადახვევა საყოველთაოდ მიღებული მორალის ნორმებიდან

მაშინ, როდესაც საუბარია ზნეობის საწინააღმდეგო გარიგებებზე, უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: „ამოხადუხი გაჩიგება შეიძლება დახვდეს ხოგოხც ცადკუური პიხის, ისე სახედმწიფოს ინგეხესებსაც“.31 სასამართლო პრაქტიკაში ვხვდებით შემთხვევებს, როცა თავად სახელმწიფოსა და კერძო სამართლის სუბიექტს შორის დადებული გარიგება ამორალური, ე.ი. სახელმწიფო თავად თანხმდება ზნეობის საწინააღმდეგო გარიგების დადებაზე. სასამართლო პრაქტიკიდან ნათლად ჩანს, რომ სამართალურთიერთობის საფუძველი მორალურად ყოველთვის გამართლებული უნდა იყოს. ეს პრინციპი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მაშინ, როცა მხარეებს შორის ნდობის და კეთილსინდისიერების სტანდარტი მაღალია, ხოლო საკაცო სასამართლოს განმარტებით, ყველა იმ ურთიერთობაში, სადაც ერთ-ერთ მხარეს სახელმწიფო წარმოადგენს ნდობის ხარისხი საკმაოდ მაღალია.³² ეს იმითაა განპირობებული, რომ სახელმწიფო ერთგვარ ძლიერ მხარეს წარმოადგენს გარიგებაში და გარიგების მეორე მხარე იძულებულია, რომ სახელმწიფოს ნდობასა და კეთილსინდისიერებაზე

31 ჯორბენაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის ჟურნალი, II, 2011, გვ. 206.

32 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს № ას-33-33-2018 განჩინება.

ვ) ერთ-ერთი ნეგატიური ფაქტი ნების ავტონომიის გადამეტებული ხელყოფაა, ამიტომ სამართალწარმოება იმ მიმართულებით უნდა განვითარდეს, რომ თუ გარიგების მხარეებს არ აქვთ პრობლემა მორალური წესების საწინააღმდეგოდ დადებული გარიგების შედეგებთან დაკავშირებით და ეს შეთანხმება ზიანს არ აყენებს სხვა მესამე პირებს, საზოგადოებაში დამკვიდრებულმა შეხედულებამ (ზნეობის წესები) გავლენა არ იქონიოს პირთა კერძო ავტონომიით დადებულ გარიგებათა სამართლებრივ ბედზე;

ზ) ნორმის აბსტრაქტული ხასიათიდან გამომდინარე, ასევე, მოსამართლეთა სიმრავლის გამო, რომლებიც განსხვავებულ განმარტებებს იძლევიან, რთულია პირმა წინასწარ განსაზღვროს თუ რომელი მათგანის განმარტება უნდა გაითვალისწინოს ზნეობის შესახებ;

თ) მნიშვნელოვანია, სამართალმა პირი, რომლის გონივრული განსჯის უუნარობითაც ამორალურად ისარგებლა კონტრაქტმა, სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის ხარჯზე არ დატოვოს მძიმე მდგომარეობაში და ბოლოს;

ი) სასამართლო პრაქტიკიდან ირკვევა, რომ მორალის განმარტება – „საყოველთაოდ აღიარებული ქცევის სტანდარტი“ (კონკრეტულ საზოგადოებაში დადგენილი ზნეობრივი წესები) ყოველთვის არ არის გამოყენებადი და მისი უარყოფა მოსამართლეს შეუძლია კონკრეტულ სუბიექტთა შორის ურთიერთობაში, რაც იმას

ნიშნავს, რომ პირს კონკრეტულ სიტუაციაში არ შეუძლია იმოქმედოს იმ მოსაწონი მორალური წესებით, რაც საზოგადოდ არის აღიარებული. ეს წესი უარყოფითად ზღუდავს პირს თავისუფალ არჩევანში.

ამრიგად, საბოლოო დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს შემდეგი: მორალური ნორმების განმტკიცებამ სსკ-ის 54-ე მუხლში კერძო სამართლის სუბიექტებს შეუქმნა იმის გარანტია, რომ მათ არ მოუწევთ ამორალური ვალდებულების შესრულება, თუმცა ამ ნორმამ თავისი ნეგატიური შედეგები მოიტანა სამართლებრივ ურთიერთობებში. აქედან გამომდინარე, შეფასების საგანია, ღირს თუ არა მოტანილი სიკეთეები ყოველივე უარყოფითის ფასად. პოზიტიურად შეფასდებოდა ის, თუ კანონმდებელი გაითვალისწინებდა სასამართლო განმარტებებს და გარკვეული დონის რეგლამენტაციას მოახდენდა იმ თავისებურებებისა, რომლითაც ხასიათდება მორალი. მაგალითად. იმის, რომ კონკრეტული სტატუსის მქონე პირთა ურთიერთობებში უპირატესობით სარგებლობს მათ შორის დამკვიდრებული სპეციფიკური მორალური/ეთიკური ნორმები, ვიდრე საზოგადოდ აღიარებული მორალი. ამით მეტად მყარი საფუძველი შექმნება სამართლის სუბიექტთა სამომავლო გარიგებებს და მორალის თავისებურებებიც მეტად გამოკვეთილი იქნებოდა თითოეული პირისთვის.

ბიბლიოგრაფია:

სამართლებრივი აქტები:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997.
2. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, 1900.
3. საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, 1964.
4. „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის“ კონვენცია, 1950.

სამეცნიერო ლიტერატურა:

1. გოგელია გ., (2005). *სამაჩთარი, ავტორიტეტი და მოხალი თანამედროვე სამაჩთარებში პოზიტივიზმში*, ადამიანი და კონსტიტუცია, IV.
2. ზარანდია თ./ჯუგელი თ., (2006). *ზნეობრივი ვადებულებანი სამოქალაქო სამაჩთარში, მათმსაჯულება და კანონი*, IV.

BIBLIOGRAPHY:

Normative Materials:

1. Civil Code of Georgia, 1997.
2. German Civil Code, 1900.
3. Civil Law Code of the Soviet Socialist Republic of Georgia, 1964.
4. Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 1950.

Scientific Literature:

1. Gogelia G., (2005). *Law, Authority and Morality in Modern Legal Positivism, Man and the Constitution*, IV.
2. Zarandia T./Jugeli T., (2006). *Moral Obligations in Civil Law, Justice and Law*, IV.
3. Zoidze B., (2005). *Reception of European private*

3. ზოიძე ბ., (2005). *ევროპული კვიძო სამაჩთის ჰეცეპცია საქაჩთველოში*, თბილისი.
4. ზოიძე ბ., (2013). *სამაჩთის ჰაქტიკური ყოფი-ეხების შემეცნების ცდა უპიჩაგესად ადამიანის უფლებათა ჭიღღში*, თბილისი.
5. კროპპოლერი ი., (2014). გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ. (მთარგმ.), ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ. (რედ.), მე-13 გამოც., თბილისი;
6. მეტრეველი ვ., (2009). *რომის სამაჩთადი (საფუძვლები)*, თბილისი.
7. ღვინაშვილი გ., (2019). *იძულებით დადებული გაჩიგება სასამაჩთო ჰაქტიკაში და მისი გამიჯვნა ამოჩადუჩი გაჩიგებებისგან*, თბილისი, სამაგისტრო ნაშრომი, ხელმისაწვდომია <<https://openscience.ge/bitstream/1/1028/1/samagistro%20gviniashvili.pdf>>
8. ჭანტურია ლ., (2011). *სამოქალაქო სამაჩთის ზოგადი ნაწილი*, თბილისი.
9. ჭანტურია ლ., (2017). *სამოქალაქო კოდექსის კომენტაჩი, წიგნი I, სამოქალაქო კოდექსის ზოგადი დებულებები*, თბილისი.
10. ხუბუა გ., (2015). *სამაჩთის თეოჩია*, თბილისი.
11. ჯორბენაძე ს., ახვლედიანი ზ., ზოიძე ბ., ნინიძე თ., ჭანტურია ლ., (2002). *საქაჩთველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტაჩი, წიგნი პირველი*, თბილისი.
12. ჯორბენაძე ს., (2011). *შეცდომა გაჩიგებაში, პაჩადედი სხვა სამაჩთელებიჩი ინსტიტუტებთან*, სამართლის ჟურნალი, II.
13. ჯორბენაძე ს., (2016). *ხედშეკუღების თავისუფლების ფაჩღები სამოქალაქო სამაჩთადში*, თბილისი, სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, ხელმისაწვდომია <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf>.
14. Moka-Mubelo W., (2015). *Reconciling Law and Horality in human Rights Discourse: Beyond the Habermasian Account of Human Rights*, a dissertation, Bosston College.
15. Raz J., (2003). *about Morality and the Nature of Law*, the American Journal of Jurisprudence, I.
- law in Georgia, Tbilisi.
4. Zoidze B., (2013). An attempt to know the practical existence of law mainly from the perspective of human rights, Tbilisi.
5. Cropholer I., (2014). German Civil Code, Darjania T., Chechelashvili Z. (Translator), Chachanidze E., Darjania T., Totladze L. (ed.), 13th edition, Tbilisi.
6. Metreveli V., (2009). Roman law (fundamentals), Tbilisi.
7. Ghvinashvili G., (2019). Forced transaction in judicial practice and its separation from immoral transactions, Tbilisi, master's thesis, available <<https://openscience.ge/bitstream/1/1028/1/samagistro%20gviniashvili.pdf>>
8. Chanturia L., (2011). General part of civil law, Tbilisi.
9. Chanturia L., (2017). Commentary on the Civil Code, Book I, General Provisions of the Civil Code, Tbilisi.
10. Khubua G., (2015). Theory of Law, Tbilisi.
11. Zorbenadze S., Akhvlediani Z., Zoidze B., Ninidze T., Chanturia L., (2002). Commentary on the Civil Code of Georgia, book one, Tbilisi.
12. Zorbenadze S., (2011). Error in Bargaining, Parallel to Other Legal Institutions, Law Journal, II.
13. Zorbenadze S., (2016). The Scope of Freedom of Contract in Civil Law, Tbilisi, Dissertation for the Academic Degree of Doctor of Laws, available at <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf>
14. Moka-Mubelo W., (2015). *Reconciling Law and Horality in human Rights Discourse: Beyond the Habermasian Account of Human Rights*, a dissertation, Bosston College.
15. Raz J., (2003). *about Morality and the Nature of Law*, the American Journal of Jurisprudence, I.

Court Decisions:

1. Decision No. 2/13966-12 of Tbilisi City Court of February 5, 2013.
2. Decision No. 2b/4123-12 of the Tbilisi Court of Appeal dated February 6, 2013.
3. Judgment No. 2b/4686-13 of the Tbilisi Court of Appeal dated April 15, 2014.
4. Ruling of the Supreme Court of Georgia dated March 01, 2016 No. AS-15-15-2016.
5. Decision No. As-664-635-2016 of the Supreme Court of Georgia dated March 2, 2017.
6. Ruling of the Supreme Court of Georgia dated August 2, 2019 No. AS-33-33-2018.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 5 თებერვლის № 2/13966-12 გადაწყვეტილება.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2013 წლის 6 თებერვლის № 2ბ/4123-12 გადაწყვეტილება.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2014 წლის 15 აპრილის № 2ბ/4686-13 განჩინება.
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 01 მარტის № ას-15-15-2016 განჩინება.
5. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 2 მარტის № ას-664-635-2016 გადაწყვეტილება.
6. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს № ას-33-33-2018 განჩინება.

Notes:

1. Metreveli V., (2009). Roman law (fundamentals), Tbilisi, p. 72.
2. Chanturia L., (2011). General part of civil law, Tbilisi, p. 354.
3. Ibid., p. 354.
4. Khubua G., (2015). Theory of Law, Tbilisi, p. 79.
5. Chanturia L., (2011). General part of civil law, Tbilisi, p. 356–357.
6. Khubua G., (2015). Theory of Law, Tbilisi, p. 79.
7. Cropholler I., (2014). German Civil Code, educational commentary, Tbilisi, p. 63.
8. Moka-Mubelo W., (2015). Reconciling Law and Orality in Human Rights Discourse: Beyond the Habermasian Account of Human Rights, a dissertation, Boston College, p.130.
9. Khubua G., (2015). Theory of Law, Tbilisi, p. 78.
10. Raz J., (2003). About Morality and the Nature of Law, The American Journal of Jurisprudence, I, p. 1.
11. Gogelia G., (2005). Law, Authority and Morality in Modern Legal Positivism, Man and the Constitution, IV, p. 89.
12. Zoidze B., (2005). Reception of European private law in Georgia, Tbilisi, p. 214.
13. Ibid., 215.
14. Ghvinashvili G., (2019). Forced transaction in court practice and its separation from immoral transactions, Tbilisi, p. 56. Master thesis, available at <<https://openscience.ge/bitstream/1/1028/1/samagistro%20gviniashvili.pdf>>
15. Zoidze B., (2013). An attempt to recognize the practical existence of law mainly from the point of view of human rights, Essays, Tbilisi, p. 23.
16. Ibid., p. 204.
17. Zorbenadze S., Akhvlediani Z., Zoidze B., Ninidze T., Chanturia L., (2002). Commentary on the Civil Code of Georgia, book one, Tbilisi, p. 177.
18. Ibid., p. 181.
19. Ibid., p. 322.
20. Chanturia L., (2017). Commentary on the Civil Code, Book I, General Provisions of the Civil Code, Tbilisi, p. 312.
21. Ibid., p. 66.
22. Chanturia L., (2011). General part of civil law, Tbilisi, p. 354.
23. Ibid., p. 321.
24. Zorbenadze S., (2016). Scope of freedom of contract in civil law, Tbilisi, p. 96. Dissertation for the academic degree of Doctor of Laws, available at <http://press.tsu.ge/data/image_db_innova/disertaciebi_samartali/sergi_jorbenadze.pdf>
25. Ruling of the Supreme Court of Georgia of March 01, 2016 No. AS-15-15-2016.
26. Cropholler I., (2014). German Civil Code, Darjania T., Chechelashvili Z. (Translator), Chachanidze E., Totladze L. (ed.), 13th edition, Tbilisi, p. 63.
27. Decision No. 2/13966-12 of Tbilisi City Court of February 5, 2013.
28. Decision No. 2b/4123-12 of the Tbilisi Court of Appeal dated February 6, 2013.
29. Ghvinashvili G., Forced transaction in court practice and its separation from immoral transaction, Tbilisi, 2019, p. 59. Master thesis, available at <<https://openscience.ge/bitstream/1/1028/1/samagistro%20gviniashvili.pdf>>
30. Ruling of the Supreme Court of Georgia dated March 2, 2017 No. AS-664-635-2016.
31. Zorbenadze S., Error in the transaction, parallel to other legal institutions, Journal of Law, II, 2011, p. 206.
32. Ruling of the Supreme Court of Georgia dated August 2, 2019 No. AS-33-33-2018.
33. Judgment of Tbilisi Court of Appeal No. 2b/4686-13 of April 15, 2014.
34. Zarandia T./Jugeli T., Moral Obligations in Civil Law, Justice and Law, IV, 2006, p. 77.
35. Chanturia L., General part of civil law, Tbilisi, 2011, p. 355.